

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის განმწერიგებელი სხდომის

საოქმო ჩანაწერი №2/5/1666

2023 წლის 5 ივლისი

ქ. ბათუმი

კოლეგიის შემადგენლობა:

მანანა კობახიძე – სხდომის თავმჯდომარე;

ირინე იმერლიშვილი – წევრი, მომხსენებელი მოსამართლე;

ხვიჩა კიკილაშვილი – წევრი;

თეიმურაზ ტუღუში – წევრი.

სხდომის მდივანი: მანანა ლომთათიძე.

საქმის დასახელება: ვასილ ჟიჟიაშვილი და გიორგი ფუტკარაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ.

დავის საგანი: „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1 მარტის №271 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და 1¹ პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის პირველ პუნქტთან და მე-15 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

საქმის განხილვის მონაწილენი: მოსარჩელე – ვასილ ჟიჟიაშვილი; მოსარჩელე მხარის წარმომადგენლები – ვასილ ჟიჟიაშვილი, გიორგი გოცირიძე; მოპასუხე მხარის წარმომადგენლები – მარიამ კერესელიძე, ლანა ცანავა.

I აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბერს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №1666) მომართეს ვასილ ჟიჟიაშვილმა და გიორგი ფუტკარაძემ. №1666 კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიას არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად გადმოეცა 2021 წლის 20 დეკემბერს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის განმწერიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენით, გაიმართა 2022 წლის 21 ივლისს.

2. №1666 კონსტიტუციურ სარჩელში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მომართვის



სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი და მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 31-ე და 31¹ მუხლები და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

3. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1 მარტის №271 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ“ ინსტრუქციის (შემდგომში – ინსტრუქცია) მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ ამ მუხლით განსაზღვრული კონკრეტული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები აქტიური სახით ინახება 8 წლის განმავლობაში, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის რომელიმე უფლების 8 წელზე მეტი ვადით შეჩერების/ჩამორთმევის შემთხვევაში – უფლების შეჩერების/ჩამორთმევის ვადით. აღნიშნული ვადების გასვლის შემდგომ, მონაცემები დაარქივებული სახით, ინახება 20 წლის ვადით. ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გარდა ყველა სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, აქტიური სახით, ინახება 4 წლის განმავლობაში, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის რომელიმე უფლების 4 წელზე მეტი ვადით შეჩერების/ჩამორთმევის შემთხვევაში – უფლების შეჩერების/ჩამორთმევის ვადით. აღნიშნული ვადების გასვლის შემდგომ მონაცემები, დაარქივებული სახით, ინახება, მინიმუმ, 10 წლის ვადით. ამასთან, აღნიშნული მონაცემების დაარქივებული სახით შენახვის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 20 წელს. ამავე მუხლის 1¹ პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალდარღვეების დაარქივებული სახით შენახვის 10-წლიანი მინიმალური ვადის გასვლის შემდგომ, მონაცემთა სუბიექტი/მისი წარმომადგენელი უფლებამოსილია, სამინისტროს მიმართოს აღნიშნული მონაცემების დეპერსონალიზაციის მოთხოვნით, რასაც სამინისტრო აკმაყოფილებს. ამგვარი მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში, მონაცემები დაარქივებული სახით, ინახება 20 წლის ვადით.

4. საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით დადგენილია ყველას მიერ საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, ხოლო მე-15 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით“.

5. მოსარჩელე მხარის განმარტებით, სადაც გამხდარი ნორმებით განსაზღვრულია ინფორმაციის შენახვის წესი აქტიური და დაარქივებული სახით. ინფორმაციის ორივე წესით შენახვა ხორციელდება პერსონიფიცირებული სახით, რაც ნიშნავს, რომ „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ინახება 28 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემები – 14 წლიდან 20 წლამდე ვადით. მოთხოვნაზე დაფუძნებული დეპერსონალიზაციის მექანიზმი კი ფუნქციონირებს მხოლოდ „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვეებთან მიმართებით. მოსარჩელე მხარის პოზიციით, ინფორმაციის ამ ფორმატით შენახვა შესაძლოა, ემსახურებოდეს ისეთ ლეგიტიმურ მიზანს, როგორიცაა ინფორმაციის განზოგადებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვეებზე რეაგირების სფეროში პოლიტიკის შემუშავება. თუმცა მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ ხსენებული შეზღუდვა არ წარმოადგენს მიზნის მიღწევის აუცილებელ საშუალებას, ვინაიდან შესაძლებელია, ნაკლებად მზღვდავი მექანიზმით, კერძოდ, დეპერსონალიზებული ფორმით, ინფორმაციის შენახვის გზით იქნეს მიღწეული დასახელებული მიზანი. მოსარჩელეთა განმარტებით, მონაცემები უნდა დამუშავდეს ლეგიტიმური მიზნისთვის საჭირო ვადით, ხოლო ლეგიტიმური მიზნის ამოწურვის შემდგომ, ინფორმაციის წაშლა უნდა ხდებოდეს ავტომატურ რეჟიმში.

6. მოსარჩელე მხარის განცხადებით, ლეგიტიმურ მიზნებში მოაზრებულია ასევე სამართალდარღვევათა სათანადო აღსრულებისა და რეციდივის პრევენციის ინტერესი. ადმინისტრაციული სახდელის სათანადო აღსრულებისა და ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის პრევენციის ლეგიტიმური მიზნები ამოწურულია პირის სახდელდაუდებლად ცნობისა და მის მიმართ სახდელის აღსრულების მომენტიდან, ხოლო პირი, მის



მიერ სამართალდარღვევის ჩადენიდან ერთი წლის შემდეგ ითვლება სახდელდაუდებლად. მოსარჩელეთა აღნიშვნით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, ორივე ლეგიტიმური ინტერესის ამოწურვა ხდება იმაზე ბევრად ადრე, ვიდრე სადაც ნორმით დადგენილი ვადებია. ამასთან ერთად, მოცემულ მიზნებთან მიმართებით, ინფორმაციის შენახვის წესი ბლანკეტურ ხასიათს ატარებს, არ ითვალისწინებს ინდივიდუალურ შემთხვევებზე რეაგირების მექანიზმს, რის გამოც სადაც ნორმებით დადგენილ მონაცემთა შენახვის ვადები წარმოადგენს მიზნის მიღწევის არააუცილებელ და არაპროპორციულ საშუალებას.

7. მოსარჩელე მხარის განმარტებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ მონაცემების ხანგრძლივი ვადით შენახვა ქმნის საფრთხეს, განისაზღვროს სახელმწიფოს დამოკიდებულება სუბიექტის მიმართ სხვადასხვა ურთიერთობაში, მოხდეს პირის სტიგმატიზება და გარკვეულ შემთხვევაში გამოიწვიოს მის მიმართ განსხვავებული მოყყობა. ამასთან ერთად, მითითებული რისკები უფრო მაღალია მაშინ, როდესაც პერსონალური მონაცემები შეეხება პირის სამართლებრივ გადაცდომას. აღსანიშნავია, რომ ჩადენილი ქმედების შესახებ ინფორმაციის სახელმწიფოს ხელთ არსებობა თვით ამ მონაცემების სუბიექტს უქმნის განწყობას, რომ, მიუხედავად პასუხისმგებლობის მოხსნისა, ის რჩება სახელმწიფოს წინაშე მუდმივ სამართალდარღვევად, რაც, თავისთავად, ართულებს პირის მორალურ რეაბილიტაციას.

8. მოსარჩელე მხარე განმარტავს, რომ მის მიერ სადაც გამხდარი საკითხი უკვე გადაწყვეტილია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის №1/2/622 გადაწყვეტილებით საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუამე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“. შესაბამისად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტის საფუძველზე, მოსარჩელე მხარე ითხოვს სადაც ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას განმწესრიგებელ სხდომაზე მიღებული განჩინებით. მოსარჩელე მხარის პოზიციით, როგორც გასაჩივრებული, ასევე სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის №1/2/622 გადაწყვეტილებაში არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმები, ითვალისწინებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის შენახვას, შესაბამისად, ამ მხრივ, სადაც ნორმები იწვევს მოსარჩელეთა უფლების შელახვას იდენტური საშუალებით. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის შენახვის უვადო ფორმატი შეიცვალა განსაზღვრული ვადით, აღნიშნული არ არის იმ ხარისხის სხვაობა, რომელიც გამორიცხავდა ნორმების შინაარსობრივ იგივეობას და განაპირობებდა საკითხის არსებითი განხილვის ფორმატში შეფასების საჭიროებას. მოსარჩელე მხარის პოზიციით, გასაჩივრებული ნორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაავმაყოფილებდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წლის 9 თებერვლის №1/2/622 გადაწყვეტილებაში დადგენილ სტანდარტს, თუკი სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის პერსონალიზებული სახით შენახვის ვადა შემოსაზღვრული იქნებოდა სამართალდამრღვევი პირის სახდელდაუდებლად ცნობის, ჩამორთმეული უფლების ვადის ამოწურვის ან/და მის მიმართ სახდელის აღსრულების ვადით. ვინაიდან შინაგან საქმეთა მინისტრის ინსტრუქციამ ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის შესახებ ინფორმაციის პერსონალიზებული სახით შენახვის ვადები, ზემოთ დასახელებული წესისგან განსხვავებით, ლეგიტიმური მიზნის მიღწევისთვის საჭირო ხანგრძლივობაზე მეტი ვადით განსაზღვრა, ხანმოკლე შეზღუდვის დაწესებით უფლების შეზღუდვის ინტენსივობა არსებითად არ შემცირებულა და აცდენილია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ ფარგლებს.

9. მოსარჩელე მხარის განცხადებით, არ გამოვლენილა ისეთი ახალი ფაქტობრივი ანდა სამართლებრივი გარემოებები, რაც გამოიწვევდა საქმის არსებითი განხილვის ფორმატში გადაწყვეტას. საკადრო პოლიტიკის განსაზღვრა, ანალიზზე დაფუძნებული პოლიცია და სხვა დასახელებული ლეგიტიმური მიზნები არსებობდა 2017 წლის 9 თებერვლის №1/2/622 გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სადაც ბრძანების იმდროინდელი რედაქციით, გათვალისწინებული იყო ინფორმაციის გაცემა მოქალაქის სამართალდამცავ ორგანოში მიღებასთან დაკავშირებით, შესაბამისად აღნიშნული ლეგიტიმური მიზანი არსებობდა გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის. ამასთან ერთად, აღნიშნული მიზანი ვერ გამოდგება უფლებაში ჩარევის გასამართლებლად, ვინაიდან პირი სარგებლობს რეაბილიტაციის უფლებით, შედეგად, მას გარკვეული დროის გასვლის შემდგომ თანაბრად უნდა მიუწვდებოდეს ხელი ნებისმიერ სამსახურზე, მათ შორის, ძალოვან სტრუქტურებში. რაც შეეხება ანალიზზე დაფუძნებული პოლიციის არსებობას, პოლიტიკის დაგეგმვა და სათანადო სტრატეგიის შემუშავება, მათ შორის, სახდელების გამკაცრება ანდა შემსუბუქება შესაძლებელია სტატისტიკის საფუძველზე იმ პირობებში, როდესაც ხდება ინფორმაციის შენახვა დეპერსონალიზებული ფორმით.

10. მოსარჩელე მხარე საკუთარი პოზიციის გასამყარებლად უთითებს განსახილველ საკითხთან



დაკავშირებით არსებულ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე.

11. მოპასუხე მხარის განმარტებით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, წარმოიშვა ახალი ლეგიტიმური მიზნები და სამართლებრივი გარემოებები, ასევე ძველი რედაქციით გათვალისწინებული უვადო შენახვის წესი შეიცვალა განსაზღვრული ვადით, შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნული წარმოადგენს ახალ გარემოებას და საჭიროებს საქმის არსებითი სხდომის ფორმატში გადაწყვეტას.

12. მოპასუხე მხარის განცხადებით, ახალ ლეგიტიმურ მიზნებში მოაზრებული უნდა იქნეს ანალიზზე დაფუძნებული, პოლიციის, პოლიციის პრევენციული, ოპერატიულ-სამძებრო, საგამომიებო საქმიანობის, ადამიანური რესურსების მართვის, საკადრო პოლიტიკის განსაზღვრის, მართლმსაჯულების განხორციელების, სარეგისტრაციო და სანებართვო, სისხლის სამართლის საქმეებზე მტკიცებულების უზრუნველყოფის და სხვა ლეგიტიმური მიზნების განხორციელება. ანალიზზე დაფუძნებული პოლიცია გულისხმობს პოლიტიკის განსაზღვრას, დანაშაულის პრევენციას, პიროვნებიდან მომდინარე რისკის ხარისხის განსაზღვრას, მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზსა და წარსულში განხორციელებული ქმედებიდან გამომდინარე, რეალობაში პორტრეტის შექმნას, მისი რეპუტაციის განსაზღვრას. მოპასუხის განმარტებით, დეპერსონალიზაცია შეუძლებელს გახდის პოლიტიკის დაგეგმვას, ვინაიდან ცალკეულ შემთხვევაში აუცილებელია, არსებობდეს ინფორმაცია სამართალდარღვევათა განმეორებით ჩადენის ფაქტების შესახებ. ამასთან ერთად, სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა, გარკვეულ დარღვევებთან მიმართებით, აფუძნებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, შესაბამისად, გამომიების მიზნებისათვის საჭიროა ხანგრძლივი ვადით ინფორმაციის შენახვა.

13. მოპასუხე მხარის განმარტებით, ადმინისტრაციულ სამართალში არსებულ სახდელთა შეკრებითობის პრინციპი გავლენას ახდენს აღსრულების დასრულების მომენტზე, რაც ინფორმაციის აქტუალურობის ვადას ზრდის. ამასთან ერთად, სამართალდამრღვევის წინარე ისტორია და სახდელთა აღსრულების საკითხის ცოდნა განაპირობებს აღსრულების შემდგომი პროცესების სწორ წარმართვას და ეფექტიანი სახდელის განსაზღვრას. დამატებით, მოპასუხემ აღნიშნა, რომ სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვნად შესრულებისთვის ხელის შემშლელი გარემოებების დადგენის, სხვადასხვა უწყებებსა თუ პროფესიული მიმართულებებით პირთა დასაქმების მიზნებისთვის აუცილებელია, არსებობდეს ინფორმაცია ჩადენილი სამართალდარღვევების შესახებ.

14. მოპასუხე მხარის განმარტებით, სადავოდ გამხდარი ნორმა, დღევანდელი რედაქციით, შესაბამისობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წლის 9 თებერვლის №1/2/622 გადაწყვეტილებით დაწესებულ სტანდარტებთან. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, სამართალდარღვევები გაიმიჯნა სიმძიმისა და ხარისხის მიხედვით და, შესაბამისად სამართალდარღვევის ხასიათისა, განისაზღვრა მონაცემების შენახვის კონკრეტული ვადა. დაწესებული ვადა მომდინარეობს იმ ლეგიტიმური მიზნებიდან, რომელსაც ემსახურება სადავოდ გამხდარი ნორმა და საჭიროა კუმულაციურად რამდენიმე ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის. ამასთან ერთად, მოპასუხის პოზიციით, საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის №1/2/622 გადაწყვეტილების შემდგომ, შეიცვალა როგორც სამართალდარღვევასთან დაკავშირებით მიღებული დადგენილების გასაჩივრების წესი, ასევე დადგენილების აღსასრულებლად მიქცევის ვადები, აღნიშნული კი წარმოადგენს ახალ სამართლებრივ გარემოებას, რაც საჭიროებს საკითხის არსებითი განხილვის ფორმატში შესწავლას.

15. მოყვანილ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ მოსარჩევე მხარის მოთხოვნა სადავო ნორმების დამძლევ ნორმებად მიჩნევისა და განმწერიგებელი სხდომის ეტაპზე ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე, არ უნდა დაკმაყოფილდეს.

II სამოტივაციო ნაწილი

1. მოსარჩევე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმებს აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის №1/2/622 გადაწყვეტილებით, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუამე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის იდენტური შინაარსი. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული



კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტით გათვალისწინებული სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობის საფუძველი.

2. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტის თანახმად, „თუ საკონსტიტუციო სასამართლო განმწერიგებელ სხდომაზე დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად, ... მას გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დასახელებული ნორმა „წარმოადგენს სასამართლო პროცესის ეკონომიკურობისა და მართლმსაჯულების ეფექტურობის პრინციპის გამოხატულებას. აღნიშნული ნორმა სასამართლოს ანიჭებს შესაძლებლობას, მის მიერ ერთხელ უკვე შეფასებული და არაკონსტიტუციურად ცნობილი ქცევის წესი გააუქმოს არსებითად განხილვის გარეშე. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიზნად ისახავს მასში ასახული მოწესრიგების რეალურ აღსრულებას. მოცემული ნორმით, საკონსტიტუციო სასამართლო, ერთი მხრივ, კონტროლს უწევს საკუთარი გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესს, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის ადამიანის უფლებათა დარღვევისაგან დაცვის პრევენციულ მექანიზმს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/2/563 განჩინება საქმეზე „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8).

3. სადავო ნორმების არსებითად განსახილველად მიღების გარეშე ძალადაკარგულად ცნობისათვის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტის მიხედვით, აუცილებელია, სახეზე იყოს ორი წინაპირობა: (ა) სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად და (ბ) საკონსტიტუციო სასამართლო უნდა იზიარებდეს სასამართლოს გადაწყვეტილებაში ადრე გამოხატულ პოზიციას.

4. საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე არაერთხელ განმარტა, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტის მიხედვით, აუცილებელია, სახეზე იყოს ორი წინაპირობა: (ა) სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად და (ბ) საკონსტიტუციო სასამართლო უნდა იზიარებდეს სასამართლოს გადაწყვეტილებაში ადრე გამოხატულ პოზიციას. „სადავო ნორმების მსგავსება არა მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით უნდა შეფასდეს, არამედ იმ სამართლებრივი შედეგის მიხედვით, რომელიც შესაძლოა სადავო ნორმებს აერთიანებდეს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის №1/5/525 განჩინება საქმეზე „მოლდოვის მოქალაქე მარიანა კიუ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11). ამასთან, „ნორმის მხოლოდ ტექსტუალური, რედაქციული ან სხვა ფორმალური განსხვავება ვერ ჩაითვლება არსებით განმასხვავებელ ფაქტორად. სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეაფასებს, არის თუ არა სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსი შინაარსის, სადავო ნორმის მიზანმიმართულების, მასში გამოხატული კანონმდებლის ნებისა და სამართლებრივი საშუალებების გათვალისწინებით. შინაარსობრივ მსგავსებასთან გვექნება საქმე არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ნორმა სიტყვასიტყვით იმეორებს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარს, არამედ მაშინაც, როდესაც სადავო ნორმაში მოცემული წესი არსებითად მსგავსი სამართლებრივი შედეგის მომტანია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/2/563 განჩინება საქმეზე „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10). შინაარსობრივი მსგავსება, თავის მხრივ, სახეზე მაშინ, როდესაც სადავო ნორმით დადგენილი სამართლებრივი მოწესრიგების არაკონსტიტუციურობა უკვე დადგენილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ და არ არსებობს სხვა ფაქტორივი და სამართლებრივი გარემოებები, რომლებიც სადავო ნორმის კონსტიტუციურობის ხელახლა შეფასების საჭიროებას/საფუძველს შექმნიდა.

5. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად იმეორებს სადავო ნორმები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წლის 9 თებერვლის №1/2/622 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარს. ამასთან, სადავო ნორმების იგივეობის პირობებშიც კი, აუცილებელია, გამოირკვეს, ხომ არ არსებობს რაიმე ახალი გარემოება, რის გამოც აუცილებელი იქნებოდა სადავო ნორმების კონსტიტუციურობის ხელახლი შეფასება არსებითი განხილვის ფორმატში.

6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 9 თებერვლის №1/2/622 გადაწყვეტილებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია)



მიმართებით, არაკონსტიტუციურად ცნო „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღღიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1 მარტის №271 ბრძანების მე-15 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში, ელექტრონულ ფორმატში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის მუდმივად შენახვას. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაში შეფასებული იქნა, სადაც გამხდარი ნორმის ფორმულირება, სახელმწიფოს მიერ ინფორმაციის შენახვის ლეგიტიმური მიზნები და ამგვარი ინფორმაციის შენახვის ვადის პროპორციულობის საკითხი.

7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, 2017 წლის 9 თებერვლის №1/2/622 გადაწყვეტილებაში, სადაც ნორმით დადგენილი ინფორმაციის მუდმივად შენახვის წესის კონსტიტუციურობა შეაფასა ადმინისტრაციული სახდელის სათანადოდ აღსრულების, ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის პრევენციისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების სფეროში პოლიტიკის შემუშავების ლეგიტიმურ მიზნებთან.

8. სასამართლოს განმარტებით, „მოქმედი კანონმდებლობის, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ სახდელდადებულს სახდელის მოხდის დღიდან (ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრების დღიდან) ერთი წლის განმავლობაში არ ჩაუდენია ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, იგი ჩაითვლება ადმინისტრაციულ სახდელდაუდებლად. ამასთან, ყველაზე ხანგრძლივად მოქმედებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 30-ე მუხლით გათვალისწინებული სახდელი – მართვის უფლების შეჩერება 3 წლამდე ვადით. რაც შეეხება ადმინისტრაციული სახდელის აღსრულების უზრუნველყოფას, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება აღსრულდება მისი გამოტანის მომენტიდან, განსხვავებული ვადა, შესამლოა, სხვადასხვა გარემოებას უკავშირდებოდეს (მაგალითად, საჩივრის შეტანის შემთხვევაში აღსრულების გადადება ერთ თვემდე ვადით). ამასთან, დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის შესახებ არ აღსრულდება, თუ იგი მიქცეული არ იყო აღსასრულებლად დადგენილების გამოტანიდან ექვსი თვის ვადაში. მოცემული გარემოებების ანალიზი ცხადყოფს, რომ ადმინისტრაციული სახდელის სათანადოდ აღსრულებისა და ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ სამართალდარღვევის პრევენციის ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად მოცემულ რეალობაში არ არის აუცილებელი სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის მუდმივად შენახვა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის №1/2/622 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“, II-29).

9. სასამართლომ განმარტა, რომ „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების სფეროში პოლიტიკის შემუშავება შესაძლებელია პირის პერსონალური მონაცემების შენახვის გარეშე, უშუალოდ სამართალდარღვევის ფაქტის თაობაზე ინფორმაციის შენახვის გზით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ყოველგვარი კატეგორიზების გარეშე, პირის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის ბლანკეტურად, მუდმივი შენახვა არ წარმოადგენს მითითებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის აუცილებელ საშუალებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის №1/2/622 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“, II-30).

10. სადაც გამხდარი ნორმა ზოგადი ხასიათის იყო და არ ითვალისწინებდა ინდივიდუალურ გარემოებებს, სასამართლოს განმარტებით, „მაქსიმალურად უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში სამართალდარღვევის ხასიათი, სიმძიმე და სოციალური საშიშროება. მონაცემთა შენახვის წესი უნდა განისაზღვროს არა ზოგადი ფორმით, არამედ სამართალდარღვევათა ბუნების გათვალისწინებითა და ინდივიდუალური საჭიროებების მხედველობაში მიღებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის №1/2/622 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“, II-31).

11. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ზოგადი ხასიათის ნორმა, რომელიც ადგენდა ინფორმაციის მუდმივად შენახვის სტანდარტს, არაკონსტიტუციური იყო, ვინაიდან „ნორმით გათვალისწინებული წესით სახელმწიფო უვადოდ, იმაზე მეტი ვადით ინახავს ნებისმიერი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციას, ვიდრე ეს ლეგიტიმური



მიზნების მისაღწევად არის აუცილებელი და არღვევს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის №1/2/622 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“, II-33).

12. №1666 კონსტიტუციური სარჩელის ავტორები ითხოვენ, რომ არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1 მარტის №271 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები და ამავე მუხლის 1¹ პუნქტი. ინსტრუქციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი გამოყოფს 43 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომლებთან დაკავშირებითაც დადგენილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში ელექტრონულ ფორმატში ჩანაწერების აქტიური სახით, 8 წლით, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის რომელიმე უფლების 8 წელზე მეტი ვადით შეჩერების/ჩამორთმევის შემთხვევაში – უფლების შეჩერების/ჩამორთმევის ვადით შენახვის წესი. აღნიშნული ვადების გასვლის შემდგომ, მონაცემები დაარქივებული სახით, ინახება 20 წლის ვადით. ინსტრუქციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი კი განსაზღვრავს ხსენებული 43 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მიღმა, ყველა სხვა დანარჩენი სამართალდარღვევის შემთხვევაში, ინფორმაციის შენახვის წესს. კერძოდ, ასეთი მონაცემები აქტიური სახით ინახება 4 წლის განმავლობაში, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის რომელიმე უფლების 4 წელზე მეტი ვადით შეჩერების/ჩამორთმევის შემთხვევაში – უფლების შეჩერების/ჩამორთმევის ვადით. აღნიშნული ვადების გასვლის შემდგომ, მონაცემები დაარქივებული სახით, ინახება, მინიმუმ, 10 წლის ვადით. ამავდროულად, ამ შემთხვევაში, გათვალისწინებულია მონაცემთა სუბიექტის უფლებამოსილება, სამინისტროს მიმართოს მონაცემების დეპერსონალიზაციის მოთხოვნით, რასაც სამინისტრო აკმაყოფილებს. ამგვარი მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში კი, მონაცემები, დაარქივებული სახით, ინახება 20 წლის ვადით.

13. მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის №1/2/622 გადაწყვეტილებაში არსებული შესაფასებელი მოცემულობისაგან განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია არა ბლანკეტურად, ნებისმიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან მიმართებით ინფორმაციის მუდმივად შენახვის წესი, არამედ სამართალდარღვევები კლასიფიცირებულია და დადგენილია მათი შენახვის კონკრეტული ვადა. საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის №1/2/622 გადაწყვეტილების მიხედვით, შენახვის მუდმივობა, სადაც ნორმის კონტექსტში, გულისხმობდა როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმში განთავსებული პერსონალური მონაცემების შენახვას, მონაცემთა სუბიექტის სიცოცხლის განმავლობაში, ისე მისი გარდაცვალების შემდგომ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის №1/2/622 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“, II-19). საკონსტიტუციო სასამართლომ სწორედ ეს მოცემულობა შეაფასა და დაადგინა, რომ მოპასუხე მხარის მიერ იდენტიფიცირებული ლეგიტიმური მიზნები არ საჭიროებდა, განურჩევლად ყველა სამართალდარღვევასთან მიმართებით, ინფორმაციის მუდმივად შენახვის საჭიროებას/აუცილებლობას. როგორც აღინიშნა, განსახილველ შემთხვევაში სამართალდარღვევები გაყოფილია 2 კატეგორიად და თითოეულისათვის დადგენილია მონაცემთა შენახვის კონკრეტული ვადა, ამავდროულად, გარკვეულ შემთხვევაში, გათვალისწინებულია მონაცემების დეპერსონალიზაციის მექანიზმი. მოპასუხე მხარე მიუთითებს გარკვეულ ლეგიტიმურ მიზნებზე და ასაბუთებს, თუ რა მიზნების უზრუნველსაყოფად ესაჭიროება კონკრეტულ შემთხვევაში ინფორმაციის განსაზღვრული ვადით შენახვა. ის, თუ რამდენად უზრუნველყოფს სადაც ნორმები ამ მიზნების მიღწევას და რამდენად თანაზომიერია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალება, საჭიროებს, არსებითი განხილვის ფორმატში, საკითხის სიღრმისეულ კვლევას.

14. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების „დამდლევი ნორმის“ იდენტიფიცირების პროცესში მნიშვნელოვანი ფაქტორია შემზღვეველი ღონისძიების მოქმედების ხანგრძლივობა. „...მნიშვნელოვანია, ხანმოვლე შეზღუდვის დაწესებით უფლების შეზღუდვის ინტენსივობა არსებითად იყოს შემცირებული და არ იყოს აცდენილი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ ფარგლებს. თუ სადაც ნორმით გათვალისწინებული ღონისძიება აღარ არის აბსოლუტური, თუმცა მაინც საკმაოდ ხანგრძლივად და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტის მიხედვით, კვლავ არაპროპორციულად მძიმედ



ზღუდავს უფლებას, იგი მიიჩნევა იმავე შინაარსის ნორმად და ძალადაკარგულად იქნება ცნობილი კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების „გარეშე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №2/16/1346 განჩინება საქმეზე „გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-12). საკონსტიტუციო სასამართლო ვერ დაეთანხმება მოსარჩელე მხარის მოსაზრებას, რომ სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის პერსონალიზებული სახით შენახვის ვადა 2017 წლის 9 თებერვლის №1/2/622 გადაწყვეტილებით, შემოსაზღვრული უნდა ყოფილიყო სამართალდამრღვევი პირის სახდელდაუდებლად ცნობის, ჩამორთმეული უფლების ვადის ამოწურვის ან/და მის მიმართ სახდელის აღსრულების ვადით. გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ინფორმაციის მუდმივად შენახვა არის არაგონივრული და არა აუცილებელი ვადა ლეგიტიმური მიზნების მიღწევისთვის, თუმცა, თავის მხრივ, გადაწყვეტილებით არ არის დადგენილი ის კონკრეტული დრო ან/და ამ დროის გამოთვლის კონკრეტული ფორმულა, რომლის მიხედვითაც, უნდა განისაზღვროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მონაცემების შენახვის დრო.

15. ვინაიდან მოქმედი სადავო ნორმების ნაწილის შესახებ სასამართლოს არასდროს უმსჯელია და შესაძლოა, მათთან მიმართებით არსებობდეს განსხვავებული მიზნები და ფარგლები, წარმოშობდეს განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს, ხოლო სასამართლოს მიერ ნამსჯელ საკითხებთან მიმართებით, მოქმედი საკანონმდებლო ჩანაწერი ახალ მოცემულობას ქმნის, სადავო ნორმებს არ აქვს იგივე შინაარსი, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო 2017 წლის 9 თებერვლის №1/2/622 გადაწყვეტილებით. შედეგად, არ არსებობს საფუძველი მოსარჩელე მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის.

16. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ინფორმაციის შენახვის წესი შეფასდეს არსებითი განხილვის ფორმატში. შესაბამისად, არ უნდა დაკმაყოფილდეს მოსარჩელის მოთხოვნა, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტის საფუძველზე, განმწერიგებელ სხდომაზე სადავო ნორმების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

17. კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად მიიღება, თუ ის აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება დასაბუთებული უნდა იყოს“. ამავე კანონის 31¹ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით კი განისაზღვრება კონსტიტუციურ სარჩელში იმ მტკიცებულებათა წარმოდგენის ვალდებულება, რომლებიც ადასტურებენ სარჩელის საფუძვლიანობას. საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, „კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებისათვის აუცილებელია, მასში გამოკვეთილი იყოს აქვარა და ცხადი შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და კონსტიტუციის იმ დებულებებს შორის, რომლებთან დაკავშირებითაც მოსარჩელე მოითხოვს სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/469 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახაბერ კობერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1). წინააღმდეგ შემთხვევაში, კონსტიტუციური სარჩელი მიიჩნევა დაუსაბუთებლად და, შესაბამისად, არ მიიღება არსებითად განსახილველად.

18. საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის თანახმად, „ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება“. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, თავისი არსით, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელების ფუნდამენტურ გარანტიას, რომელიც იცავს ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების საკუთარივე შეხედულებისამებრ წარმართვის თავისუფლებას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის №2/8/1496 განჩინება საქმეზე „თეკლა დავითულიანი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-4).

19. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პიროვნების თავისუფალი განვითარება უზრუგადესი უფლებაა. საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მიზანია, დაუცველი არ დარჩეს ცხოვრების ის სფეროები, რომლებიც პიროვნებასთან დაკავშირებული კონკრეტული უფლებებით არ არის მოცული. კონსტიტუციის მე-12 მუხლი ქმნის კონსტიტუციური დაცვის გარანტიას ურთიერთობებისთვის, რომლებიც არ თავსდება კონსტიტუციის სხვა ნორმებში, თუმცა შეადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების აუცილებელ კომპონენტს (იხ. *mutatis mutandis*



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჟარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შორმის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-57). იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების ესა თუ ის უფლებრივი კომპონენტი დაცულია სპეციალური კონსტიტუციური დებულებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სადაც ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი უნდა შეაფასოს არა საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლთან, არამედ იმ კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართებით, რომელიც პიროვნების თავისუფალი განვითარების ამა თუ იმ უფლებრივი კომპონენტის დაცვის სპეციალურ კონსტიტუციურსამართლებრივ სტანდარტებს ადგენს (იხ. *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „„შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „„შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). ამდენად, სადაც ნორმასა და კონსტიტუციის ხსენებულ დებულებას შორის შინაარსობრივი მიმართების წარმოსაჩენად, მოსარჩელე მხარე ვალდებულია, დაასაბუთოს, რომ მის საფუძველზე იზღუდება პიროვნების თავისუფალი განვითარების ის ასპექტები, რომლებიც არ არის დაცული კონსტიტუციის სხვა დებულებებით.

20. ამასთან, აღსანიშნავია, რომ „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონის პირველი მუხლის საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუცია ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. დასახელებული კონსტიტუციური ცვლილებები ამოქმედდა 2018 წლის 16 დეკემბრიდან და მის საფუძველზე, ახლებურად განისაზღვრა რიგი კონსტიტუციური დებულებები, მათ შორის, ცვლილება შევიდა პირადი ცხოვრების უფლების დამდგენ კონსტიტუციურ ნორმებში. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედ რედაქციაში საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა პირადი ცხოვრების უფლების დამცავ ზოგად დებულებას, შესაბამისად, პირადი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტი გარანტირებული იყო კონსტიტუციის განსხვავებულ ნორმაში, მათ შორის, პირადი ცხოვრების გარკვეული უფლებრივი კომპონენტები, რომლებიც კონსტიტუციის ნორმების სტრუქტურიდან გამომდინარე, ვერ თავსდებოდა კონსტიტუციის სხვა დებულებაში, თუმცა უპირობოდ შეადგენდა პირადი ცხოვრების აუცილებელ ასპექტს, ექცეოდა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით დაცულ სფეროში (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/7/454 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის №1/2/458 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“).

21. საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად კი, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით, გაჩნდა ზოგადი ჩანაწერი პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების ხელშეუხებლობის შესახებ. ამდენად, კონსტიტუციის მოქმედ არქიტექტურაში, პირადი ცხოვრების უფლების ის უფლებრივი კომპონენტები, რომლებიც არ უკავშირდება ქმედების ზოგად თავისუფლებას და რომლებიც 2018 წლის 16 დეკემბრამდე კონსტიტუციის მე-16 მუხლით განმტკიცებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების რეგულირების სფეროში ექცეოდა, დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით.

22. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე დავობს პირადი ცხოვრების იმ კომპონენტზე, რომელიც ზღუდავს სახელმწიფოს შესაძლებლობას, შეინახოს პირის შესახებ ინფორმაცია. ამდენად, მოსარჩელე მხარე დავობს არა ქმედების თავისუფლების ასპექტზე, არამედ სახელმწიფოს უფლებამოსილების ფარგლებზე, შეინახოს პირის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული ინფორმაცია. შესაბამისად, პირადი ცხოვრების ის ასპექტი, რომელზეც მოსარჩელე მხარე აპელირებს, დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით და სადაც ნორმის კონსტიტუციურობა ამ მიმართულებით შეფასდება საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებასთან მიმართებით. მოსარჩელე მხარის მიერ იდენტიფიცირებული სადაც რეგულირება არ წარმოადგენს ჩარევას საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით აღიარებულ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში. შესაბამისად, სადაც ნორმას არ გააჩნია შინაარსობრივი მიმართება საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით გარანტირებულ უფლებასთან.

23. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო



მიიჩნევს, რომ №1666 კონსტიტუციური სარჩელი სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1 მარტის №271 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და 1¹ პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლთან მიმართებით, დაუსაბუთებელია და არსებობს მისი არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31¹ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტითა და 31³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლები.

24. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ №1666 კონსტიტუციური სარჩელი, სხვა მხრივ, აკმაყოფილებს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31¹ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნებს და არ არსებობს ამ კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 25-ე მუხლის 4¹ პუნქტის, 27¹ მუხლის მე-2 პუნქტის, 31-ე მუხლის, 31¹ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, 31² მუხლის მე-8 პუნქტის, 31³ მუხლის პირველი პუნქტის, 31⁵ მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების, 31⁶ მუხლის პირველი პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის, 43-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-5, მე-8, მე-10 და მე-13 პუნქტების საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს არსებითად განსახილველად №1666 კონსტიტუციური სარჩელი („ვასილ ჟიჟაშვილი და გიორგი ფუტკარაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“) სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1 მარტის №271 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და 1¹ პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველ პუნქტან მიმართებით.

2. არ იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად №1666 კონსტიტუციური სარჩელი („ვასილ ჟიჟაშვილი და გიორგი ფუტკარაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“) სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და 1¹ პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლთან მიმართებით.



3. არ დაკმაყოფილდეს მოსარჩელე მხარის მოთხოვნა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტის საფუძველზე, სადავო ნორმების არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

4. საქმეს არსებითად განიხილავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია.

5. საქმის არსებითი განხილვა დაიწყება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

6. საოქმო ჩანაწერი საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

7. საოქმო ჩანაწერი 15 დღის ვადაში გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე, გაეგზავნოს მხარეებს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

კოლეგიის შემადგენლობა:

მანანა კობახიძე

ირინე იმერლიშვილი

ხვიჩა კიკილაშვილი

თეიმურაზ ტუღუში

